

**ხელშეკრულება**  
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**  
**ე.ტ. № 149-20**

ქ. თბილისი

26 ოქტომბერი, 2020 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე თევდორაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12

საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

და მეორე მხრივ, შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ტალი ტალიაშვილის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი),

მის.: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქ., N13

საიდენტიფიკაციო კოდი: 204986195

საბანკო რეკვიზიტები: სს „ვი-თი-ბი“ ბანკი

ბანკის კოდი: UGEBGE22

ანგარიშის ნომერი: GE81VT6600000044445555

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის **NAT200011890** საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

**მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და მისი შესაბამისი CPV კოდი**

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საავტომობილო გზების და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შედგენის მომსახურება (შემდგომში - მომსახურება).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: **71320000** - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

**მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება**

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **789`000.00** (შვიდას ოთხმოცდაცხრა ათასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით.

### **მუხლი 3. მომსახურების შესრულების ვადა და ადგილი**

1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში.
2. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ტექნიკური დავალებით (ხელშეკრულების დანართი N1) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
3. მომსახურების გაწევა მოხდება მიმწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით ან/და საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტის ადგილას.

### **მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობები**

1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხა შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადა უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.
4. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიაღება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისა და შემსყიდველის მიერ ამ შესრულების მიღების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.
6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს, აამოქმედოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით.
7. შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.
8. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ, ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება და შემსყიდველს წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცვლილება/ახალი საბანკო გარანტია).

#### **მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი**

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი, ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადებისა და პირობების შესაბამისად, ეტაპობრივად წარუდგენს შემსყიდველს ხელშეკრულების ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრულ მომსახურების ეტაპებს.

3. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით).

5. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება, შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად. ამ შემთხვევაში მიმწოდებელს არ გააჩნია პრეტენზია მომსახურების აუთვისებელი მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

#### **მუხლი 6. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები**

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.

2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულების ღირებულების 20% ან მეტი.

4. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია თეთრ სიაში (შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი), მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ გაცემულ ავანსის ნახევარი ოდენობის საბანკო გარანტიას, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე და აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.

8. შემსყიდველის მიერ გადახდილი ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A*(X\%-Y\%)}{70 - 20}$$

Z = არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A = წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X = წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის გაწეული მომსახურების შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

9. გადახდილი ავანსის დაკავება განხორციელდება მას შემდეგ, როცა გაწეული მომსახურების მოცულობა მიაღწევს 20%-ს, ხოლო გადახდილი ავანსის სრულად დაქვითვა განხორციელდება, როცა გაწეული მომსახურების მოცულობა შეადგენს 70 %-ს.

10. გადახდილი ავანსის დაქვითვა ასევე შესაძლოა განხორციელდეს წინსწრებით.

11. მიმწოდებელი ვალდებულია, ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

12. შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელებას ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გადახდილი ავანსი ან მისი ნაწილი.

13. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

## **მუხლი 7. გაწეული მომსახურების საგარანტიო ვადა**

1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულების 5%, რომელიც მიმწოდებელს დაუბრუნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მიღება-ჩაბარებიდან 1 (ერთი) წლის შემდგომ (საგარანტიო პერიოდი), გარდა იმ შემთხვევისა თუ ამ ვადაში შემსყიდველი განახორციელებს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დაწყებას.

2. საგარანტიო პერიოდში (1 წელი) წლის განმავლობაში ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილი შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე სამუშაოების დაწყების შემთხვევაში, ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნება მოხდება შემუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.



3. თუ საგარანტიო პერიოდში სამუშაოების განხორციელების პროცესში შესაბამის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში აღმოჩნდება რაიმე სახის დეფექტ(ებ)ი, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ისინი. თუ მიმწოდებელი არ აღმოფხვრის აღნიშნულ დეფექტ(ებ)ს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს არ აუნაზღაუროს გაწეული საპროექტო მომსახურების ფარგლებში დაკავებული თანხა გამოვლენილი ხარვეზის ღირებულების პროპორციულად. ამასთან, თუ აღმოჩნდება რომ ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხა არაა საკმარისი, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

4. თუ მიმწოდებლის ბრალეულობით, შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტ(ებ)ის არსებობამ გადააჭარბა სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაში განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულებას (დადგენილი შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ) მიმწოდებელს არ აუნაზღაურდება ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების ფარგლებში, ობიექტთან მიმართებით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულებიდან დაკავებული თანხა, 5%-ის ოდენობით სრულად.

### **მუხლი 8. მომსახურების შესაბამისობა**

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3. მომსახურებისთვის საჭირო საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე, საკუთარი ხარჯებით, გაწეული მომსახურების საფუძველზე შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად სამუშაოების დაწყების შემდეგ სამუშაოების დასრულებამდე პერიოდში, მომსახურების გაწევის ვადების მიუხედავად.

### **მუხლი 9. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარგენილი, ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის დოკუმენტაციის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის ტექნიკურ საბჭოზე შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდგომ, დგება მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ეტაპის დოკუმენტაციის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის გაცემის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯებით ჩაუტაროს ექსპერტიზა ტექნიკური დავალებით განსაზღვრული შესაბამისი ეტაპის დოკუმენტაციას - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ ან შესაბამის სფეროში სხვა აკრედიტირებულ პირთან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ან ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დადებითი საექსპერტო დასკვნის შემსყიდველის მიერ მიღების შემდგომ, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნის შემსყიდველის მიერ მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ფორმდება მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას, რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით განსაზღვრულია მომსახურების ეტაპობრივი მიღება, თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ დგება მომსახურების შესაბამისი ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტი. ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების ეტაპი მიღებულად ითხვლება მხოლოდ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ან მიმდინარე მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია, უარი განაცხადოს მომსახურების მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

6. გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტი.

7. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

8. მომსახურებას, შემსყიდველის მხრიდან იბარებს **საპროექტო სამსახური ან მისი უფლებამონაცვლე.**

### **მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრული ვადების შესაბამისად;

დ) საჭიროების შემთხვევაში, მოამზადოს საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემები, ასევე, შემსყიდველთან საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შეთანხმებამდე და შეთანხმებული სქემით განსაზღვრული ტექნიკური საშუალებებით უსაფრთხო საგზაო მოძრაობის რეგულირებამდე, არ დაიწყოს ისეთი სამუშაოების წარმოება, რომელმაც შეიძლება, ზემოქმედება იქონიოს საგზაო მოძრაობაზე;

ე) განათავსოს დროებითი საგზაო ნიშნები, საგზაო მონიშვნა, საგზაო ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები დამტკიცებული და შეთანხმებული საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს სხვა ისეთი აუცილებელი ზომები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც მოითხოვს სამუშაოები;

ვ) უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემით განსაზღვრული საგზაო ნიშნების, საგზაო მონიშვნის, ბარიერების და საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სუფთა და თვალსაჩინო მდგომარეობაში არსებობა; დააყენოს, გადაიტანოს, დაფაროს ან აიღოს ისინი სამუშაოს მიმდინარეობის შესაბამისად, შემსყიდველთან და ზედამხედველთან შეთანხმებით;

ზ) შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წარდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამოსწორება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;

ი) საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, გაუწიოს კონსულტაცია შემსყიდველს სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან/და საპროექტო ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ;

კ) ანგარიშსწორებისას საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება;

ლ) შემსყიდველს დაუყონებლივ აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე, სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია, ხელი შეუშალოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას;

მ) იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ითვალისწინებს ქონების შეფასებას, შემფასებელი (სერთიფიცირებული) ექსპერტის კანდიდატურა შეათანხმოს შემსყიდველთან და ქონების შეფასების დოკუმენტი წარადგინოს მისი და შემფასებელი ექსპერტის ხელმოწერით;

ნ) საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს მისი და შესაბამისი სპეციალისტის (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ტექნიკური გადაწყვეტილების მიმღები) მიერ ხელმოწერილი სახით;

ო) საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნით, შემსყიდველს წარუდგინოს ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში სხვა აკრედიტირებულ პირის დასკვნა საპროექტო დოკუმენტაციის შესახებ;

პ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებლის მიერ დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენიდან გონივრულ ვადაში განიხილოს მისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში გაიტანოს მის ტექნიკურ საბჭოზე, წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ და განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, შეიტანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე, ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

## **მუხლი 11. ფორს-მაჟორი**

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის

შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

## **მუხლი 12. პასუხისმგებლობა**

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო პერიოდში, დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 1 000 (ერთი ათასი) ლარისა, შემსყიდველის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

5. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

## **მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა**

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის ბრალეულობით, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტ(ებ)ის არსებობამ გამოიწვია სამუშაოების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდა, რაც დადგენილია შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ;



გ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

დ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ვ) ამოიწურა ხელშეკრულებაზე თანდართული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა შემსყიდველს არ წარუდგინა ახალი საბანკო გარანტია;

ზ) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

თ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განმეორებით დაირღვა მიმწოდებლის მიერ;

ი) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ხელშეკრულების მე-4 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

#### **მუხლი 14. უფლებების გადაცემა**

1. ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე, მათი სამართალმემკვიდრეებისათვის და უფლებამონაცვლეებისთვის.

2. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

3. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

#### **მუხლი 15. ქვეკონტრაქტორები**

1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა შეუთანხმოს შემსყიდველს ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო წინადადებაში. ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წერილობით აცნობოს, თუ რა მოცულობის მომსახურება გადაეცემა ქვეკონტრაქტორს. ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%-ს.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

4. მიმწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორი ვალდებული არიან, დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენიებული იყო მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.

5. მიმწოდებელს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს, დამატებით აიყვანოს სპეციალისტ(ებ)ი მის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებული მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტების სიობრივი რაოდენობის ზევით.

6. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, თავისი სატენდერო წინადადებით წარდგენილი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წერილობითი სახით და აღნიშნული ცვლილებ(ებ)ის საკითხი შეათანხმოს შემსყიდველთან. ამ შემთხვევაში, ახალი სპეციალისტ(ებ)ის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

7. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან.

### **მუხლი 16. შეტყობინება**

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - [info@georoad.ge](mailto:info@georoad.ge)) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

### **მუხლი 17. კონტროლი (ინსპექტირება)**

1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის, მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (მონიტორინგი) ევალება **შემსყიდველის სტრუქტურულ ქვედანაყოფს - საპროექტო სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს, კომპეტენციის ფარგლებში - გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს, ხოლო, ფინანსური მონიტორინგი - შემსყიდველის სტრუქტურულ ქვედანაყოფს - ფინანსების მართვის სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს.**

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე შემსყიდველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

### **მუხლი 18. სხვა პირობები**

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის დროს ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის, ფასების გადასინჯვის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში. ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული დოკუმენტის ფორმით, მასზე შესრულებულია ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

8. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, მიმწოდებლის ხარჯთაღრიცხვა და ტექნიკური დავალება თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

### **მუხლი 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან - **2021 წლის 29 ნოემბრის** ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე (საგარანტიო პერიოდის სრულ დასრულებამდე).

**მხარეთა ხელმოწერები:**

**შემსყიდველი:**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

-----  
**ალექსანდრე თევდორაძე**

**მიმწოდებელი:**

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი

-----  
**ტალი ტალიაშვილი**

ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

№	მომსახურების დასახელება	მომსახურების მთლიანი ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარში)
1	საავტომობილო გზების და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შედგენის მომსახურება	789 000.0

ინსტიტუტ "ტრანსპროექტის" გენერალური დირექტორი

*Handwritten signature*  


ტ. ტალიაშვილი



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის  
სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი



საავტომობილო გზების და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების  
გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოების

## ტექნიკური დავალება

ქ. თბილისი  
2020 წელი

# 1. გასაწევი საპროექტო მომსახურება.

1.1. გასაწევი საპროექტო მომსახურების დასახელება და შემადგენლობა:

საავტომობილო გზების და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შედგენაზე მომსახურების გაწევა.

აღნიშნული მომსახურება გულისხმობს გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევას ქვემოთ ჩამოთვლილ ობიექტებზე.

## ლოტი - 1 - საწყისი ანგარიში:

უშუალოდ დეტალური პროექტების წარმოდგენამდე, მომსახურების დაწყებიდან 1 თვეში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყდველს წარმოუდგინოს ავტომაგისტრალების გარე განათების ქსელის მოწყობის ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება პროექტის ავტორის ხედვები ოპტიმალური, ხარჯ და ენერგო ეფექტური გარეგანათების სისტემების, როგორც მოწყობის ისევე საექსპლოატაციო მახასიათებლებთან მიმართებაში.

აღნიშნული დოკუმენტი უნდა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, ანძების და სანათების მოწყობის, მათი ტიპის, განლაგების და სხვა ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების საერთაშორისოდ აღიარებული კარგად დაცდილი პრაქტიკის მიმოხილვას და მათ ადაპტაციას საქართველოს გეოგრაფიულ-კლიმატურ და საექსპლოატაციო პირობებთან.

დოკუმენტი ასევე უნდა მოიცავდეს გარე განათების მოწყობის საერთაშორისო სტანდარტების (მინიმუმ 3: პოსტ საბჭოთა ქვეყნებში, ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ სტანდარტებს) ტექნიკურ ეკონომიკურ შედარებას.

## დეტალური პროექტები ლოტებად:

**ლოტი - 2:** სამტრედია - გრიგოლეთი: ლოტი 2. (სავარაუდო სიგრძით 18.5 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

**ლოტი - 3:** ზემო ოსიაური ჩუმათელეთი: ლოტი 1 და ლოტი 2-ა (სავარაუდო სიგრძით 7.8 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

**ლოტი - 4:** ბათუმის შემოსავლელი (სავარაუდო სიგრძით 14.3 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

**ლოტი - 5:** გრიგოლეთი-ქობულეთი (სავარაუდო სიგრძით 14 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

**ლოტი - 6:** საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ლოჭინის სატრანსპორტო კვანძის და კვანძიდან ვაზიანის სამხედრო ბაზის წრიული მოძრაობის ჩათვლით; შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის მიერთებასთან (კმ27); სოფელ სართიჭალას შესასვლელში (კმ33+700 მ და გასასვლელი 34+300 მ); სოფელ ხაშმის მიერთებასთან (კმ36+500 მ); სოფელ პატარძელის მიერთებასთან (კმ39+750 მ); დავით გარეჯის მიერთებასთან (კმ51+600მ); ბაკურციხის სატრანსპორტო კვანძი (კმ103+800მ); (სავარაუდო სიგრძით 8.1კმ) გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

**ლოტი - 7:** საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ46-კმ71 (სავარაუდო სიგრძით 25 კმ) ციხისძირი-შავშვების მონაკვეთზე (მარცხენა მიმართულება) გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო

საპროექტო მომსახურების გაწევა.

**ლოტი - 8:** საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-გორის მონაკვეთზე არსებული სატრანსპორტო კვანძების (ზაპკესი-კმ19-კმ20; წიწამური-კმ22; წიწამურის ხევი (საგურამო)-კმ24-კმ25; არაგვი-კმ26; ნატახტარი-კმ28; გოროვანი-კმ33; ქსანი-კმ40; ალაიანი-კმ42; ოკამი-კმ51-კმ52; იგოეთი-კმ56-კმ58; გამდლისწყარო კმ59-კმ60; ნიგოზა-კმ64; ხურვალეთი-კმ67-კმ68; შავშვები-კმ71; ახლასოფელი-კმ75; სვენეთი-კმ80; მეჯვრისხევი-კმ80; გორი (ცხინვალის გზაგამტარი)-კმ83-კმ84. (სავარაუდო სიგრძით 26.6 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

სახიდე გადასასვლელების კმ19+453; კმ23+190; კმ24+060; კმ25+300; კმ28+350; კმ28+500; კმ32+320; კმ38+200; კმ39+150; კმ40+800; კმ55+400; კმ56+350; კმ79+750; კმ80+230; კმ81+200; კმ82+800 (სავარაუდო სიგრძით 2.05 კმ), გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

(ს-1) საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 248 (ბაში ახალსოფლის კვანძი) - (შ-104) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-გეგუთი-საყოლია-ბაში-იანეთი კმ31+680-კმ33+720 - (შ204) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის კმ-216 (ნახშირღელეს სატრანსპორტო კვანძი) - ქუთაისი - სამტრედია საავტომობილო გზის კმ34+550-კმ36+630 (მონაკვეთების სავარაუდო სიგრძე 4.5 კმ) გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

**ლოტი - 9:** ზემო ოსიური ჩუმათელეთი: ლოტი 2.ბ (სავარაუდო სიგრძით .6.3 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

**ლოტი - 10:** სამტრედია - გრიგოლეთი: ლოტი 1. (სავარაუდო სიგრძით 11.5 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

**ლოტი - 11:** სამტრედია - გრიგოლეთი: ლოტი 4 (სავარაუდო სიგრძით 9 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

**ლოტი - 12:** სამტრედია - გრიგოლეთი: ლოტი 3 (სავარაუდო სიგრძით 12 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

1.2. მომსახურების ძირითადი სახეობები:

1. სავალე საკვლევადიებო და კამერალური სამუშაოები;
2. საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია);
3. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;
4. სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების მომზადება;
5. გარემოს მართვის გეგმის მომზადება,
6. ტექნიკური დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარება.

1.3. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ფარგლებში შეასრულოს შემდეგი მომსახურებები:

1. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების დამატებითი ეგზემპლარების გამრავლება;
2. ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
3. პროექტის კორექტირება;
4. ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკოლოგიური დაბინძურების აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვა;
5. გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება;
6. განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება;
7. ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება.

1.4 მომსახურების გაწევის ვადები და სხვა პირობები;  
 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 12 თვე.

ლოტის №	ობიექტის დასახელება	ასლების რაოდენობა ქართულ - ინგლისური. (ბეჭდური - ციფრული)	ანგარიშების წარმოდგენის ვადები ხელშეკრულების გაფორმებიდან. (თვე)	ეტაპის ღირებულება (სახელშეკრულებო ღირებულების %)
1	<b>საწყისი ანგარიში</b>	6-2	1	0
2	სამტრედია - გრიგოლეთ: ლოტი 2. (სავარაუდო სიგრძით 18.5 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.	6-2	3	12
3	ზემო ოსიური ჩუმათელეთი: ლოტი 1 და ლოტი 2-ა (სავარაუდო სიგრძით 7.8 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.	6-2	3	5
4	ბათუმის შემოსავლელი (სავარაუდო სიგრძით 14.3 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.	6-2	5	9
5	გრიგოლეთი - ქობულეთი (სავარაუდო სიგრძით 14 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.	6-2	5	9
6	საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ლოჭინის სატრანსპორტო კვანძის და კვანძიდან ვაზიანის სამხედრო ბაზის წრიული მოძრაობის ჩათვლით; შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორითელავის მიერთებასთან (კმ27); სოფელ სართიჭალას შესასვლელში (კმ33+700 მ და გასასვლელი 34+300 მ); სოფელ ხაშმის მიერთებასთან (კმ36+500 მ); სოფელ პატარძელის მიერთებასთან (კმ39+750 მ); დავით გარეჯის მიერთებასთან (კმ51+600მ); ბაკურციხის სატრანსპორტო კვანძი (კმ103+800მ); (სავარაუდო სიგრძით 8.1კმ) გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.	6-2	7	5
7	საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ46-კმ71 (სავარაუდო სიგრძით 25 კმ) ციხისძირი-შავშევების მონაკვეთზე (მარცხენა მიმართულება) გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.	6-2	7	16
8	საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-გორის მონაკვეთზე არსებული სატრანსპორტო კვანძების (ზაჰესი-კმ19-კმ20; წიწამური-კმ22; წიწამურის ხევი (საგურამო)-კმ24-კმ25; არაგვი-კმ26; ნატახტარი-კმ28; გოროვანი-კმ33; ქსანი-კმ40; ალაიანი-კმ42; ოკამი-კმ51-კმ52; იგოეთი-კმ56-კმ58; გამდლისწყარო კმ59-კმ60; ნიგოზა-კმ64; ხურვალეთი-კმ67-კმ68; შავშევები-კმ71; ახლასოფელი-	6-2	9	20



	<p>კმ75; სვენეთი-კმ80; მეჯვრისხევი-კმ80; გორი (ცხინვალის გზაგამტარი)-კმ83-კმ84. (სავარაუდო სიგრძით 26.6 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.</p> <p>სახიდე გადასასვლელების კმ19+453; კმ23+190; კმ24+060; კმ25+300; კმ28+350; კმ28+500; კმ32+320; კმ38+200; კმ39+150; კმ40+800; კმ55+400; კმ56+350; კმ79+750; კმ80+230; კმ81+200; კმ82+800 (სავარაუდო სიგრძით 2.05 კმ), გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.</p> <p>(ს-1) საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 248 (ბაში ახალსოფლის კვანძი) - (შ-104) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-გეგუთი-საყოლია-ბაში-იანეთი კმ31+680-კმ33+720 - (შ204) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის კმ-216 (ნახშირდელეს სატრანსპორტო კვანძი) - ქუთაისი - სამტრედია საავტომობილო გზის კმ34+550-კმ36+630 (მონაკვეთების სავარაუდო სიგრძე 4.5 კმ) გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.</p>			
9	<p>ზემო ოსიაური ჩუმათელეთი: ლოტი 2.ბ (სავარაუდო სიგრძით .6.3 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.</p>	6-2	11	4
10	<p>სამტრედია - გრიგოლეთი: ლოტი 1. (სავარაუდო სიგრძით 11.5 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.</p>	6-2	11	7
11	<p>სამტრედია - გრიგოლეთი: ლოტი 4 (სავარაუდო სიგრძით 9 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.</p>	6-2	11	5
12	<p>სამტრედია - გრიგოლეთი: ლოტი 3 (სავარაუდო სიგრძით 12 კმ). გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.</p>	6-2	11	8

საჭიროების შემთხვევაში თითოეული პროექტის შესრულების ვადა კორექტირება დაიშვება ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე;

იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ ობიექტებზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დასრულების ვადები სცილდება ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებს, მიმწოდებელი აგრძელებს გასაწევ მომსახურებას ასეთ ობიექტზე სამუშაოების მთლიანად დასრულებამდე (საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ ობიექტზე სავტორო ზედამხედველობის ჩათვლით) მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე შესაბამისი დანართის გაფორმებით;

საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელთან შეთანხმდებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შესყიდვის საწყის გეგმაში. წლიური დაფინანსების მოცულობების შემცირების ან სხვა მიზნების გამო შეამციროს მომსახურების მოცულობა და მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია ტენდერით განსაზღვრული მოცულობების შესრულების გამო;

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პირობებში;

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა;

შესყიდვის ობიექტის გათვალისწინებით, ინდივიდუალურ საპროექტო დავალებას წერილობით გასცემს შემსყიდველი. ინდივიდუალურ საპროექტო დავალებაში მიეთითება შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ვადა და პირობები. ინდივიდუალური საპროექტო დავალება გაიცემა ინდივიდუალურად დასაპროექტებელი ობიექტის შესაბამისად.

## **2. განათების ქსელის მოწყობის სამუშაოების შესასრულებლად საპროექტო მომსახურების გაწევის პირობები.**

მომსახურების გაწევის შედეგად დამუშავებული ყველა დოკუმენტი; მათ შორის ნახაზები, ტექსტობრივი ნაწილი და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს **ქართულ და ინგლისურ ენებზე**.

ტექნიკურ ნაწილში იხილება ზოგადი პირობები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მიმწოდებელმა, რომ დაამუშაოს მაღალხარისხიანი პროექტები, მათ ხელთ არსებული და შემსყიდველისათვის მისაღები ტექნოლოგიების გამოყენებით.

### **2.1. დავალების შემადგენლობა**

გასაწევი მომსახურება მოიცავს სავსე საკვლევადიებო სამუშაოებს, სავსე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ იქნას:

- საპროექტო მონაკვეთის აღწერილობა;
- განათების ქსელის შემადგენლობა;
- ელექტროტექნიკური ნაწილი;
- სატრანსფორმატორო ქვესადგურები;
- კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის დამიწების კონტურის ანგარიში;
- კაბელების გაყვანილობა;
- კაბელის შერჩევა;
- განათების ქსელი;
- ელექტრო გადაცემის საყრდენების და სანათების ძირითადი პარამეტრები;
- აღრიცხვის კვანძების განლაგება;
- ელექტრო გადამცემი ხაზის მოწყობა;
- ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენების განთავსება;
- შუქტექნიკური ანგარიში.
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;
- მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო დოკუმენტაცია შეათანხმოს და მიიღოს ელექტრო ქსელში დაერთებისთვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური პირობები ელ.მომმარაგებელი ორგანიზაციებისგან.
- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსელის ფაილში);
- აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევადიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები;
- პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნას საავტომობილო გზების დარგში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები.
- საავტომობილო გზების განათება გათვალისწინებულ იქნას თანამედროვე მართვის სისტემის და “LED” ტიპის სანათების გამოყენებით.
- მიმწოდებელმა წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში აუცილებელია გაითვალისწინოს, როგორც სამშენებლო ასევე საექსპლუატაციო პერიოდში დამკვეთისათვის ხარჯთეფექტურობის მიზნით შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტილებების მაქსიმალური შესაძლო უნიფიცირება.
- საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ უნდა იქნას გამწვანების ზოლის აღდგენა გამყოფ ზოლში.

## 2.2. სამუშაო ადგილის მომზადება

მიმწოდებელი პასუხისმგებელია მისი სამუშაოებისათვის საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტისა და ყველა სავალდებულო სამუშაოსთვის საჭირო ხელსაწყოთა და ტექნიკის უზრუნველყოფაზე.

## 2.3. მოძრაობის ორგანიზაცია

შესასრულებელი სამუშაოების ორგანიზაციის პროექტები უნდა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციის გათვალისწინებით, რომელიც შეთანხმებული იქნება შესაბამის უწყებებთან.

## 2.4. ტექნიკური რეგლამენტები და ნორმატიული დოკუმენტები

რეკომენდირებულია და მიმწოდებელი ვალდებულია პროექტების განხორციელებისას იხელმძღვანელოს და გამოიყენოს:

\_ საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები და სტანდარტები და მათ საფუძველზე დამუშავებული ტექნიკური რეკომენდაციები, სახელმძღვანელოები და მითითებები; შენიშვნა: საპროექტო ნორმებსა და რეგლამენტებში რაიმე განსხვავებული დაშვებების აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციფიკური ნორმის დაშვებისა, ან მისი შეზღუდვის საკითხი წინასწარ უნდა იქნას დამკვეთთან შეთანხმებული.

## 2.5. გარე განათების მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების ტექნიკური სპეციფიკაციები

საპროექტო დოკუმენტაციით განხილული უნდა იყოს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, ელექტრული დატვირთვების და სადენის კვეთის ანგარიში, საყრდენების დამიწება და სხვა. შერჩეული უნდა იყოს ელექტროტექნიკური მოწყობილობები შესაბამისი სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმატივების მიხედვით;

მიმდებარე ქსელი უნდა შემოწმდეს მოკლე შერთვისა და დატვირთვის დენებზე. საჭიროების შემთხვევაში უნდა გადაისინჯოს სარელეო დაცვის მოწყობის პრინციპები და მოხდეს დანაყენების ანგარიში;

შერჩეული უნდა იყოს ახალი კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგური. გათვალისწინებული უნდა იყოს სატრანსფორმატორო ქვესადგურის საძირკველის, დამიწების კონტურის, საბალანსო ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის მოწყობა;

ხილული გათიშვისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ამძრავებიანი გამთიშველის მონტაჟი, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს გადამეტაბვისაგან დაცვა;

პროექტში ასახული უნდა იყოს ქსელის ანგარიში. ჩატარებული უნდა იყოს ძაბვის დანაკარგების ანგარიში, რის მიხედვითაც შეირჩევა თვითმზიდი იზოლირებული სადენი;

საპროექტო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კონსტრუქციული, საინჟინრო და სხვა ტიპის გადაწყვეტები ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ გათვალისწინებული და შესაბამისობაში იყოს საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან, კანონმდებლობასთან და საერთაშორისოდ აღიარებულ კარგად დაცდილ პრაქტიკასთან. უზრუნველყოფილი იყოს ნახაზებსა და სპეციფიკაციებს შორის თავსებადობა, მასალათა ნუსხის შესაბამისობა სპეციფიკაციებთან და ნახაზებთან;

საპროექტო დოკუმენტაციით განხილული უნდა იყოს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, ელექტრული დატვირთვების და სადენის კვეთის ანგარიში, საყრდენების დამიწება და სხვა. შერჩეული უნდა იყოს ელექტროტექნიკური მოწყობილობები შესაბამისი სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმატივების მიხედვით.

### 3. საველე - საკვლევადიებო სამუშაოები.

„გარე განათება“-სათვის საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტებიდან გამომდინარე მიმწოდებლის მიერ განისაზღვრება საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები ამ თავში მოცემული სამუშაოების სახეობებიდან.

საველე საკვლევადიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად მიღებული უნდა იქნას ობიექტის რაიონის ტოპოგრაფიული, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, და სხვა აუცილებელი ინფორმაციები, რომლებიც საჭიროა მშენებლობის ორგანიზაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად.

შენიშვნა: აქ მოცემულია იმ სამუშაოთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ზოგადად საკვლევადიებო სამუშაოების ჩასატარებლად. ამიტომ, ასევე გამოყენებული უნდა იქნას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, სადაც სრულად არის მოცემული კვლევების ჩატარების მეთოდები და საშუალებები

#### 3.1. საინჟინრო-ტოპოგეოდეზიური სამუშაოები

საინჟინრო-ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარების დროს უნდა შესრულდეს სამუშაოთა კომპლექსი იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს ტოპოგეოდეზიური მასალებისა და მონაცემების მიღებას, რომელიც აუცილებელია სამუშაო ნახაზების დასამუშავებლად პროექტის ყველა ნაწილისათვის, ცალკეული ნაგებობის მისაბმელად ადგილზე და ობიექტის შემადგენელი ნაწილების ლოკალური ხარჯთაღრიცხვების შესადგენად.

ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების წარმოების დროს კვლევა-ძიების საველე ეტაპი უნდა მოიცავდეს:

ა. გარე განათების მოწყობის სამუშაოებისთვის საჭირო ღონისძიებებს დაქვემდებარებული არსებული გზის მონაკვეთის პიკეტაჟის ჩატარების პროცესში ტრასის სიტუაციური გეგმის შედგენა, ტრასის დამაგრება და ხელოვნური ნაგებობების ღერძების მიბმა მასთან;

ბ. საპროექტო მონაკვეთის ტოპოგეოდეზიური ტახეომეტრიული გადაღება მასშტაბით 1:1000, ან 1:500. იმ მოცულობით, რაც აუცილებელია საჭირო ღონისძიებების ჩასატარებლად. რელიეფის ტეხეომეტრიული გადახება, შესრულებული მასშტაბით 1:500, დამუშავებული უნდა იქნას აბსოლიტურ UTM Geocorse კოორდინატთა სისტემაში.

გ. საინჟინრო-გეოლოგიური გამონამუშევრების (არსებობის შემთხვევაში) მიბმა ტრასასთან და ხელოვნურ ნაგებობებთან;

დ. განივი პროფილების გადაღება ყოველ დამახასიათებელ წერტილებში (სადენის დგარების განთავსების ადგილები და სხვა),

ე. გრძივი პროფილების გადაღება ტრასის მთელ სიგრძეზე.

ვ. საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განისაზღვროს არსებული კომუნიკაციების (საჰაერო ხაზების, ელექტროგადამცემის ხაზების, კაბელების, წყალსადენის, საკანალიზაციო ქსელის და სხვა) საპროექტო ტრასასთან გადაკვეთა და შესაბამისი ადგილები და შეთანხმდეს მათთან გადაკვეთის/გადატანის პირობები;

#### 3.2. არსებული ნაგებობების აზომვები საკვლევადიებო სამუშაოების წარმოების დროს

ა. მიბმული იქნას საპროექტო ტრასასთან არსებული საჰაერო კავშირგაბმულობის ხაზები, ელექტრო და კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები, მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემის ხაზები.

ბ. საპროექტო გადაწყვეტილებები შეთანხმდეს სათანადო კომუნიკაციების მფლობელთან არსებული წესით.

#### 3.3. საინჟინრო გეოლოგიური კვლევის საორიენტაციო სამუშაოები

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შემადგენლობა და მოცულობები დამოკიდებულია საკვლევადიებო რაიონის პროექტირების სტადიაზე, საინჟინროგეოლოგიური პირობების სირთულეზე,



ხელოვნური ნაგებობების კონსტრუქციასა და მათ ზომებზე.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია საკაბელო ხაზის დგარების და სხვა ხელოვნური ნაგებობების საძირკვლების ტიპების შესარჩევად, მათი ჩაღრმავებისა და ზომების განსაზღვრავად მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროცესში საინჟინროგეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესაძლო ცვლილებების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მონაცემები საძირკვლების საფუძვლებში კუმშვადი გრუნტების სისქის შესახებ, ჭაბურღილების სიღრმის განსაზღვრა დასაშვებია ცხრილით №37 სნდაწ 1.02.07-87 "საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის" (ან სხვა, ანალოგიური დანიშნულების დოკუმენტის შესაბამისად); საინჟინრო-გეოლოგიური კვლევაძიებით მიღებული მასალების საფუძველზე უნდა შედგეს ანგარიშები საკაბელო ხაზის ყველა ნაგებობის მდგრადობის უზრუნველყოფის დასკვნებითა და რეკომენდაციებით, ადგილობრივი სამშენებლო მასალების მარაგებისა და მათი ხარისხების მონაცემებით. ამისათვის საჭიროა შესრულდეს შემდეგი სახის სავარაუდო საკვლევაძიებო და ლაბორატორიული სამუშაოები:

#### 4. კამერალური სამუშაოები.

გარე განათების მოწყობის საინჟინრო-ტოპოგრაფიული გეგმა უნდა შედგეს გადასაღები ობიექტის ფართობის მიხედვით მასშტაბებში 1:500 (გადასაღები ფართობის 10 ჰა-მდე შემთხვევაში), 1:1000 (გადასაღები ფართობის 50 ჰა-მდე შემთხვევაში) და 1:2000 (გადასაღები ფართობის 50 ჰა მეტის შემთხვევაში). რელიეფის სიმაღლეზე კვეთები მიღებული უნდა იქნას რელიეფისა და სიტუაციური სირთულიდან გამომდინარე 0,5 და 1,0 მეტრი;

ბ. საკაბელო ხაზი გასწორხაზებული გეგმა გამოიხაზოს მასშტაბით 1:1000; 1;500

გ. საკაბელო ხაზის ტრასირების საინჟინრო ტოპოგრაფიული გეგმა უნდა შედგეს მასშტაბით 1:500, რელიეფის სიმაღლეზე კვეთები მიღებულ უნდა იქნას 0.5 მეტრი;

დ. განივი პროფილები გამოიხაზოს რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 100 სწორ ადგილებში მასშტაბში 1 : 200;

ე. სიტუაცია ტრასის გეგმაზე და გრძივ პროფილზე დატანილ იქნას არსებული პირობითი ნიშნების შესაბამისად;

ვ. ხელოვნური ნაგებობების ნახაზები უნდა შესრულდეს 1:200, 1:100, 1:50, 1:20, 1:10 და 1:5 მასშტაბებში:

ზ. ყველა ნახაზზე უნდა იყოს აღნიშნული პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების გვარები და მათი ხელმოწერები.

ადგილზე (ველზე) ჩატარებული ტოპო-გეოდეზიური და აზომვითი სამუშაოების შედეგების გაანალიზებისას, საჭირო გაანგარიშების ჩატარებისა და გრაფიკული ტექსტური მასალების დამუშავებას ოფისის პირობებში, ასევე საჭირო შეთანხმებების დოკუმენტების უზრუნველყოფას.

#### 5. კუთვნილება

ამ მომსახურებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და წარმოადგენს მის საკუთრებას ღია (სამუშაო) ფაილების (Word, Excel, DWG, Dxf, Shp. და.სხვა) სახით.

მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასაწარი თანხმობის გარეშე.

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების სრული მოცულობის ელექტრონული (Word, Excel, DWG, Dxf, Shp. და.სხვა) ვერსია.

#### 6. ტექნიკური დოკუმენტაციის ექსპერტიზა.

მიმწოდებელი ვალდებულია დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის დამკვეთთან წარმოდგენის დროს უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის დასკვნების წარმოდგენა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც გაცემული უნდა იქნას აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ, ან დასკვნის ხელმოწერი ექსპერტები დარეგისტრირებულნი უნდა იყვნენ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში.

## 7. ეკოლოგია და ბუნების დაცვა

- ა. შეირჩეს სამუშაოთა წარმოების ისეთი წესები და მეთოდები, რაც უზრუნველყოფს არსებული ბუნებრივი პირობების მაქსიმალურად შენარჩუნებას;
- ბ. გათვალისწინებული იქნას, აუცილებლობის შემთხვევაში, ნაყოფიერი ზედაპირული ნიადაგის მოჭრა და მისი დროებითი გადაადგილება ნაყარში შემდგომი გამოყენების მიზნით. შეირჩეს ადგილი მისი გამოყენებისათვის განისაზღვროს ზიდვის მანძილი;
- გ. დაინიშნოს ადგილები საჭიროების შემთხვევაში ფოჭი გრუნტის სანაყაროს მოსაწყობად, განისაზღვროს გრუნტის ზიდვის მანძილები ობიექტამდე;
- დ. დაისახოს ღონისძიებები გარემოს დაცვისათვის;
- ე. სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდეს დროებით დაკავებული ტერიტორიების (გზებით, სამშენებლო ბაზებით და ა.შ.) რეკულტივაცია;
- ვ. სამშენებლო მონაკვეთის განთავსების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში, საჭიროა ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, ამისათვის აუცილებელია:
  - 1). საავტომობილო გზის შესაბამის ნაკვეთზე საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადება (სკპ ფაილები);
  - 2). სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამოსარიცხ ტერიტორიაზე არსებული მერქნული რესურსების წინასწარი აღრიცხვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
  - 3). წითელი ნუსხის სახეობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში) დადგენილი წესით ჭრის უფლების მოსაპოვებლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა

## 8. განსახლება.

პროექტის ფარგლებში მშენებლობის შეუფერხებლად განხორციელებისა და ადგილობრივ მოსახლეობაზე პროექტის უარყოფითი ზეგავლენის მასშტაბების შემცირების მიზნით, უნდა შემუშავდეს განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული პროექტის განხორციელების შედეგად მიყენებული ზარალის სრული კომპენსირება, დღევანდელი რეალური მდგომარეობისა და არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის განახლებისათვის მომწოდებელმა უნდა განახორციელოს სათანადო კვლევები ქვემოთ აღწერილი ეტაპების მიხედვით:

**ეტაპი 1.** გაანალიზდეს მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ეყრდნობა ტექნიკურ ეკონომიკურ საფუძვლებს და შეიმუშავოს მიდგომები განსახლების კუთხით.

**ეტაპი 2.** სარეაბილიტაციო სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოქცეული, კერძო საკუთრებად იდენტიფიცირებული, საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებული ან/და მცდარი საკადასტრო მონაცემებით რეესტრირებული უძრავი ნივთების, ასევე 2007 წლის 20 სექტემბრამდე ფიზიკურ პირთა მიერ თვითნებულად დაკავებული და აღწერის დროს მათ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების დეტალური აზომვითი სამუშაოების ჩატარება, ნაკვეთის სტატუსის დადგენა (რეესტრირებული საჯარო რეესტრში; არარეესტრირებული ლეგალიზებადი; არარეესტრირებული არარეგულირებადი; სახელმწიფო და სხვა.). ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უძრავი ნივთების საჯარო რეესტრში სისტემური რეესტრაციის მიზნით, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის/იდენტურობის, უფლებრივი მდგომარეობისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების დასადგენად, სავსე სამუშაოების შესრულებისას მომწოდებელი პირი ვალდებულია თითოეულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით შეადგინოს ადგილზე დათვალიერების ოქმი, რომლის ფორმაც მტკიცდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით. თითოეული იდენტიფიცირებული ნაკვეთისათვის უნდა შედგეს პირველადი რეესტრაციის, ხოლო ნაწილობრივ გამოსყიდვის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის გამიჯვნის საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ორიგინალური განთავსების ზოლის შესაბამისად, ასევე სახელმწიფოს საკუთრების უფლებით სარეესტრაციო მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზები, რომელიც უნდა წარმოადგინოს დეპარტამენტში განსახლების გეგმასთან ერთად. ამასთან საკადასტრო აზომვები უნდა განხორციელდეს და რეესტრაციისათვის/გამიჯვნისვის საჭირო ნახაზები უნდა მომზადდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს №388 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

**ეტაპი 3.** ზეგავლენის არეალში მოქცეული ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/მოსარგებლის გადამოწმების/დადგენის პროცესი სასურველია მიმდინარეობდეს ადგილობრივი მთავრობის

წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით და ჩართულობით, მათთან კონსულტაციების საფუძველზე და ეყრდნობოდა მათ მიერ მესაკუთრეების-მოსარგებლების შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას და შესაბამის დოკუმენტურ მასალას.

**ეტაპი 4.** დადგენილ მესაკუთრეების/მოსარგებლების, საკონსულტაციო კომპანიის (მიმწოდებელი) წარმომადგენლების და სასურველია ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლის თანდასწრებით და მათი თანამონაწილეობით (მინიმუმ ორი ან მეტი პირის ხელმოწერით დადასტურებით) ზემოქმედების არეალში მოქცეული თითოეული ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა/ნაგებობების და ნარგავების (არსებობის შემთხვევაში) ინვენტარიზაცია/აღწერა წინასწარ შემუშავებული საინვენტარიზაციო ფორმის გამოყენებით. თითოეული შენობა ნაგებობისათვის აზომვითი ნახაზის მომზადება. საინვენტარიზაციო დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს სხვადასხვა რაკურსით გადაღებული ფოტომასალა (მიწის ნაკვეთების, ღობეების, შენობა-ნაგებობების, ნარგავების და ა.შ.) ციფრული ფოტოკამერით დაფიქსირებული თარიღის მითითებით. ძველი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის მონაცემების განახლება მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

**ეტაპი 5.** საველე კვლევების/ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მასალის დამოუკიდებელი, ლიცენზირებული შემფასებლის (ექსპერტის) მიერ დამუშავება, საველე გასვლების საშუალებით მონაცემების ადგილზე გადამოწმება/შესწავლა და თითოეული კატეგორიის მიწისათვის საბაზრო ღირებულების გამოთვლა, ერთწლიანი/მრავალწლიანი კულტურებისათვის, ნარგავებისათვის, შენობა/ნაგებობებისათვის (დანახარჯების მეთოდით), როგორც ერთეული, ასევე ჯამური ღირებულების დადგენა/დაანგარიშება.

**ეტაპი 6.** მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის სამუშაო ვერსიის მომზადება (თითოეული ნაკვეთის მიხედვით მომზადებული შემაჯამებელი ცხრილის და დანართების ჩათვლით). აღნიშნული გეგმის სამუშაო ვერსიის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის წარმოდგენა, შენიშვნების გაზიარება და დამტკიცება. მიმწოდებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს განსახლების სამოქმედო გეგმის შესწორება/კორექტირება განსახლების პროცედურების განხორციელებისას გამოვლენილი ცვლილებების/უზუსტობების აღმოსაფხვრელად.

**შენიშვნა:** მიმწოდებელი ვალდებულია მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის საბოლოო ვერსიის შემსყიდველისათვის ჩაბარების შემდგომ 6 თვის განმავლობაში (განსახლების გეგმის განხორციელების პერიოდი) უზრუნველყოს გამოვლენილი ცვლილებების/უზუსტობების შესწორება, დაზუსტება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება. ანგარიშგება სამუშაოების ჩატარების ეტაპზე მიმწოდებელს ევალება მჭიდრო თანამშრომლობა და ინფორმაციის გაზიარება, როგორც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამის სამსახურებთან და საჭიროების შემთხვევაში, ასევე საგზაო-საინჟინრო პროექტის (დიზაინის) შემმუშავებელ საპროექტო ორგანიზაციასთან. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის სამუშაო ვერსია: განსახლების გეგმის სამუშაო ვერსიის და საველე სამუშაოების (აზომვების, ინვენტარიზაციის, გამოკითხვების) შემაჯამებელი ანგარიშის და საინფორმაციო ბროშურის ნიმუში წარმოდგენა; საჯარო შეხვედრების ოქმები, ფოტომასალები, მოსახლეობის მიერ დასმული შეკითხვები და პასუხები. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენიშვნების გაზიარება/ანგარიშში ინტეგრირება; მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის საბოლოო ანგარიში მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის საბოლოო სახით წარმოდგენა, გეგმის შემაჯამებელი საკომპენსაციო ცხრილის წარმოდგენა (რომელიც უნდა მოიცავდეს თითოეულ მიწის ნაკვეთზე საკომპენსაციო გაანგარიშებას), საავტომობილო გზის პროექტის (სრული ორთოფოტო) წარმოდგენა, რომელზეც დატანილი იქნება აზომილი მიწის ნაკვეთები (დანომრილი იქნება თანმიმდევრულად, საპროექტო გზის მიმართულების შესაბამისად) და გზის განთვისების ზოლი (ბუფერი). თითოეული მესაკუთრისათვის საკადასტრო ნახაზების, საინვენტარიზაციო ფორმების და სოციო-ეკონომიკური კვლევის შედეგების ჩათვლით (დანართების სახით). გეგმა განახლებული უნდა იყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენიშვნების საფუძველზე.

დანართი 1 განსახლების სამოქმედო გეგმის თეორიული ნაწილი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, შესაბამისი თავებითა და ქვეთავებით:

- შემაჯამებელი რეზიუმე
- 1. პროექტის აღწერა
  - ა. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

- ბ. ზემოქმედების დერეფანი
- 2. პროექტის შესაძლო ზემოქმედება
  - ა. პროექტის ზემოქმედების შეჯამება
  - ბ. ზემოქმედება მიწაზე
  - გ. ზემოქმედება შენობა-ნაგებობებზე
  - დ. ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე და ხეებზე
  - ე. ზემოქმედებები ბიზნესზე
  - ვ. სხვა ზემოქმედება
- 3. პროექტის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები
- 4. სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი
  - ა. საქართველოს კანონები
- 5. ინსტიტუციური (ორგანიზაციული) პასუხისმგებლობა
- 6. განსახლების ღონისძიებები
  - ა. განსახლების გეგმის საბოლოო ვარიანტის მომზადება
  - ბ. განსახლების გეგმის განხორციელება
- 7. შეფასების მეთოდები. დანაკარგის შეფასება და კომპენსაცია
  - ა. შენობა-ნაგებობების შეფასება დანახარჯების მეთოდით
  - ბ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების გამოთვლა ანალოგების შედარების მეთოდით
  - გ. ხეების კომპენსაციის გამოთვლის მეთოდოლოგია
  - დ. ერთწლიანი კულტურების კომპენსაციის გამოთვლის მეთოდოლოგია
  - ე. ბიზნესის კომპენსაცია
- 8. საჯარო განხილვები, მონაწილეობა და კონსულტაცია
- 9. განსახლების ხარჯები და ბიუჯეტი

დანართი 1

- 1. შეფასების მეთოდოლოგია
- 2. ლეგალიზაციის პროცედურა
- 3. საინფორმაციო ბროშურა

ინფორმაცია საჯარო განხილვებთან დაკავშირებით.

**9. ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები, მიმწოდებლის მიერ, თანხმდება შემსყიდველთან.**





20.10.20 № 3633

ხელშეკრულების შესრულების  
საგარანტიო უზრუნველყოფა  
№BGMP0249/191020

ვის: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს  
საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - ბენეფიციარი)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს "საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტმა", ს/კ  
204986195 (შემდგომში „პრინციპალი“) საავტომობილო გზების და მასზე არსებული ხელოვნური  
ნაგებობების გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-  
სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური  
დოკუმენტების შედგენის მომსახურების შესყიდვაზე (ელ.ტენდერის N.NAT200011890) წარდგენილი  
თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო  
გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ბენეფიციართან  
გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის  
სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები ბენეფიციარის  
წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე: 39,450 (ოცდაცხრამეტი ათას ოთხას ორმოცდაათი)  
ლარი და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას ბენეფიციარის პირველივე  
მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა). ბენეფიციარის მოთხოვნაში პრინციპალის მიერ  
ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე ბენეფიციარის მხრიდან  
მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების და ყოველგვარი დამატებითი  
დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სათავო  
ოფისი, გ.ჭანტურას ქ. №14, თბილისი, 0108, საქართველო, თბილისის დროით 17:00 საათამდე,  
კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების განყოფილების საყურადღებოდ.  
წინამდებარე გარანტია ძალაშია 2021 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე გარანტია რეგულირდება საქართველოს ვანონმდებლობით.

ვლადიმერ რობაქიძე  
კორპორატიული ბიზნესის დირექტორი



ETBSIO

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"  
საქართველო 0108  
თბილისი  
გ. ჭანტურას ქ. 14

ტელეფონი:  
+(995) 32 224-24-24  
E-mail: info@vtb.ge